



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49203604

თარიღი:25/12/2020

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №36 89**

**ქალაქ წყალტუბოში, დედა ენის N20-ის სადარბაზოს შესასვლელთან დავით ომარის ძე წულაიას სახელობის ბარელიეფის განთავსების შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ განიხილა ქალაქ წყალტუბოში დედა ენის N20-ში მცხოვრები მოსახლეობის განცხადება, რომელიც შეეხებოდა ამავე ბინის სადარბაზოს შესასვლელთან დავით ომარის ძე წულაიას სახელობის ბარელიეფის განთავსებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის 'ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად:

1. ქალაქ წყალტუბოში დედა ენის N20-ის სადარბაზოს შესასვლელთან განთავსდეს დავით ომარის ძე წულაიას სახელობის ბარელიეფი.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის  
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

